

# "აუცილებელია გარშე ინციდენტების პრევენციის მექანიზმი ამოქმედდეს"

✘ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზარკვიანი საქართველოს მოქალაქის საექვო პირობებში გარდაცვალებას ეხმაურება და აღნიშნავს, რომ ცხედრის ექსპერტიზის ოფიციალური დასკვნის მიღებისთანავე უწყება მაქსიმალურად ამოქმედებს ყველა საერთაშორისო ბერკეტს.

მინისტრის თქმით, უწყებას კომუნიკაცია ჰქონდა ევროკავშირისა და გაერო-ს სპეციალურ წარმომადგენლებთან, ჟენევის ყველა თანათავმჯდომარესთან, ასევე საერჩოებს მიეცათ ინსტრუქცია, რომ გარშე გარდაცვდილი ირაკლი კვარაცხელიას შესახებ დაუყოვნებლივ აცნობონ საქართველოს საერთაშორისო პარტნიორებს.

*„ექსპერტიზის შესახებ საბოლოო ინფორმაცია არ მაქვს. ექსპერტიზის დასკვნა ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. მიუხედავად იმისა, თუ როდის იქნება ეს დასკვნა, კომპეტენციის ფარგლებში საგარეო საქმეთა სამინისტრომ კონკრეტული ნაბიჯები გადადგა. მცისიერად გვქონდა კომუნიკაცია ყველა საერთაშორისო აქტორთან, მათ შორის ევროკავშირისა და გაერო-ს სპეციალურ წარმომადგენლებთან, ჟენევის ყველა თანათავმჯდომარესთან. ყველა ჩვენს საერჩოს მიეცა ინსტრუქცია, ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობონ ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებს.“*

*ხვად ჩანიშნული მაქვს შეხვედრა ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენლებთან, რომელიც სოხუმიდან დაბრუნდება და მოვისმენ, რა ინფორმაცია გააჩნია. ფაქტია, რომ ეს აღმაშფოთებელი შემთხვევაა. ეს კიდევ ერთხელ ამყარებს, რომ აუცილებელია ოკუპირებულ, უკონტროლო ტერიტორიებზე საერთაშორისო თანამეგობრობის წვდომა. ეს არის ის, რასაც ჩვენ მუდმივად ვითხოვთ საერთაშორისო თანამეგობრობისგან.“*

აუცილებელია, გარშე ინციდენტების პრევენციის მექანიზმი

*ავამოქმედოთ, რომელიც ერთ-ერთი მთავარი ფორმატი უნდა იყოს, სადაც საუბარი ამ აღმაშფოთებელ ფაქტზე იქნება. ყველა საერთაშორისო აქტივთან ძალიან აქტიურ კომუნიკაციაში ვართ. ექსპერტიზის ოფიციალური დასკვნის მიღებისთანავე მაქსიმალურად ავამოქმედებთ ჩვენს ხელთ არსებულ ყველა საერთაშორისო ბერკეტს“, – განაცხადა დავით ბარკაღიანიმა.*

ოკუპირებული გარის რაიონში გარდაცვრილი ირაკლი კვარაცხელიას ცხედარი ოკუპირებული ტერიტორიიდან გუშინ გადმოასვენეს. ენგურის ხიდზე იმყოფებოდნენ საქართველოს ცენტრალური ხედისუფდებისა და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლები. ცხედარს ექსპერტიზა თბილისში, დევან სამხარაურის სახედობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ჩაუტარდება.